ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №9

(CPV: **41110000** - სასმელი წყალი)

თბილისი

09 თებერვალი, 2012წ.

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბადრი თოიძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ - **შპს „სუფთა წყალი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ გრიგალაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2012 წლის განმავლობაში, **საკუთარი შემოსავლების სახსრებით მიმწოდებლისაგან სასმელი წყლის** სახელმწიფო შესყიდვა ეტაპობრივად (შემდგომში - საქონელი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

შესასყიდი საქონლის პარამეტრებია:

სასმელი წყალი „ბინული“ 19ლ	15 ბოცა

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს:

სასმელი წყალი „ბინული“ 19ლ	15 ბოცა	10.00 ლარი	150.00 ლარი
		ჯამი	150.00 ლარი

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **150,00** (ას ორმოცდაათი) **ლარს**, ტრანსპორტირებისა და ყველა სხვა ხარჯების ჩათვლით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ საქონლის ფაქტიური მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.

მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა

3.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველი მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ საქონლის ფაქტიური მიწოდების მიხედვით.

4.2. შემსყიდველის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. ამ ხელშეკრულების ძალით მიღებული საქონლის შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრატორი ამირან თოიძე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის პირველი ეტაპის მიწოდება განახორციელოს 10.02.12წ - 15.02.12წ ვადებში;

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) სამუშაოს ჩაბარების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ და რომლის წინასწარ განსაზღვრა, თავიდან აცილება, მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში. ამის შემდეგ შეიძლება განხილულ იქნას მხარისათვის ვალდებულების შესასრულებლად გახანგრძლივებული ვადის მინიჭების შესაძლებლობა.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს მას ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1%, არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

8.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ინსპექტირება

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს შემსყიდველი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრატორი - ამირან თოიძის სახით.

9.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი", იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი რუსთავი, XII მკრ-ნი, საიდენტიფიკაციო №216297433, ტელ. 2 23-64-66, ს/ს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფილიალი, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის № GE04BG0000000300472400.

ხელმოწერა _____ ბადრი თოიძე

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „სუფთა წყალი", საიდენტიფიკაციო №205150655, მისამართი - თბილისი, ფალიაშვილის ქ.№118. ს/ს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ანგ.№ GE13BG0000000129766400.

ხელმოწერა _____ თამაზ გრიგალაშვილი

ბ.ა.